

სვანური და მეგრულ-ლაზური მეტყველებების საერთო ძირ-ფუძეთა საკითხისთვის

აბსტრაქტი: ბოლო წლებში მეტი ყურადღება დაეთმო მეგრულ-ლაზურ და სვანურ მეტყველებებში საერთო ლექსიკურ ფორმათა გამოვლენას მსგავსი ძირ-ფუძეები ორსავე მეტყველებაში ისევე ემორჩილებიან საერთო, ქართველური სისტემის მოთხოვნებს, როგორც ფონეტიკურ-ფონოლოგიური და გრამატიკული ელემენტები. სხვადასხვა ქართველურ მეტყველებაში სტრუქტურული სხვაობები სისტემის ფარგლებს არ სცდებიან. სხვადასხვა მიზეზის-გამო, მათ შორის არალინგვისტურიც, სტრუქტურული ელემენტების სახეცვლილებები დასტურდება. მათი უმეტესობა ქართველოლოგთა-მიერ გამოვლენილია.

ამოსავალი სიტყვები: ლექსიკური ფორმა, სალექსიკონო მასალა, მეგრულ-ლაზური მეტყველებები, ეტიმოლოგიურ ლექსიკონი,ლინგვისტური.

Revaz Sherozia

The Common Roots of the Svan and Megrelian-Laz Languages

Abstract: In recent years, more attention has been paid to the common lexical forms in the Megrelian-Laz and Svan speech. Commonalities between these forms of speech include roots in the rules of Georgian grammar as well as phonetic-phonological and grammatical elements. While structural differences in Georgian language exist, for various reasons, including non-linguistic ones, these element changes do not go beyond the boundaries of a common grammar. Most of these have been confirmed by Kartvelologists.

Keywords: Lexical form, lexical material, Megrel-Laz speech, etymological dictionary.

ლექსიკურ ფორმათა ცვლილებებს შეიძლება იწვევდეს გარემო, ყოფა-ცხოვრების ის პირობები, რომლებშიც ადამიანთა ჯგუფებს ხანგრძლივი დროის მანძილზე უხდებათ არსებობა. საქართველოს მრავალფეროვანი გეოგრაფიული გარემო პირდაპირპროპორციულია ენობრივი სისტემის მრავალრიცხოვან სამეტყველო ფორმებთან. თვალსაჩინო მაგალითია სალიტერატურო თუნ (გა-თუნ-ებ-ა)= მეგრული გო-თან-ა, თან-აფ-ა: სვანური თან-აფ, სადაც სვანურ ფორმაში ა ხმოვნის მოკვეცის არავითარი ფონეტიკური პროცესი არ ჩანს.

სავარაუდოა, რომ დახურული მარცვლით სიტყვის დაბოლოებას, რაც ბოლო მარცვალზე ძლიერი მახვილის შედეგი უნდა იყოს, განაპირობებს არალინგვისტური ფაქტორი, მკაცრი საყოფაცხოვრებო პირობები (შეროზია 2021: 342).

სალექსიკონო მასალა წინა პუბლიკაციების მსგავსად (შეროზია 2017,197; 2020, 267) წარმოდგენილი იქნება ორი მახასიათებლის გათვალისწინებით: 1. როცა ეტიმოლოგიურ ნაშრომებში სვანური (ზოგჯერ მეგრულიც) ერთეულები არ ჩანს; 2. როცა სვანური ფორმა „ნასესხობად“ არის მიჩნეული. ამ უკანასკნელი ტიპის შემთხვევებთან დაკავშირებით უკვე გამოითქვა მოსაზრება (შეროზია 2017: 199). აქ-კი შეიძლება დამატებით ითქვას, რომ თანფა და თანფ ფორმები „ნასესხობად“ ვერ ჩაითვლება ვერც მეგრულ და ვერც სვანურ მეტყველებაში. აღდგომის აღმნიშვნელი ეს ლექსემა პირველ საუკუნეშივე უნდა იყოს გამოყენებული მნიშვნელობით და სვანური და მეგრულ-ლაზური მეტყველებები, სავარაუდოდ, არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან (შეროზია 2014: 314). საერთოდ-კი ძნელბედობის ჟამს მიგრაციული პროცესები აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში ერთგვარი უნდა ყოფილიყო. ხევსურები და თუშები (ზოგადად მთიელები) როგორ მიმართებაშიც არიან ქართლ-კახეთის მოსახლეობასთან, ასეთივე ვითარება უნდა ვივარაუდოთ ეგრის-სვანეთის შემთხვევაშიც (შდრ. „სვანო-კოლხები“).

ეტიმოლოგიურ ლექსიკონში (ფენრიხი, სარჯველაძე 2000,595) ნამცუეცი (ნამცეცი) შეპირისპირებულია მეგრულ ჩაჩუა ფუძესთან (ცალკე საკითხია შინაარსობრივი მხარე). სვანური აჩაჩე მოხმობილი არ არის. მიზეზი, როგორც ჩანს, მეგრულიდან „ნასესხობად“ მიიჩნევა.

იმავე ლექსიკონში ძველი მწუისი ლექსების ფარდად წარმოდგენილი მეგრულ-ლაზური ჭიშ (მეგრული მი-ჭიშ უ) რატომღაც ახსნილია როგორც „დაეწია“. იხ. (გვ.668). სვანური ესჭიშ (მისდევს) არ ჩანს. გარდა ამისა, წუისი ფუძის საილუსტრაციო მაგალითები არ შეესაბამება „დაწევა“ მასდარის მნიშვნელობას. დასახლებულ წინადადებებში მწუისი ასაკის აღმნიშვნელი ჩანს (შდრ. ღათუ მწუისთა გონებანი რომელთანიმე დაბრმეს, სინ. მრავალთ. 135,4-5...)

იქვე (გვ.645) სალიტერატურო წკნდეზა (იწმინდება) ფუძის მეგრულ შესატყვისად დასახელებულია წკონდა (გაწმენდილი). სვანური ფორმა მითითებული არ არის. წკნდ ძირი წკანდ-ისგან მომდინარედ არის მიჩნეული, რასაც მეგრული წკონდ შეუპირისპირდა (ა:ლ „ბგერათშესატყვისობის“ ნიმუშად). ეს ახსნა შესაძლებელია მივიღოთ, მაგრამ სვანურში დასტურდება აწკტე, ოთწკტ ფუძეები, რომლებიც მეგრული წკანტუა (სამუშაოს სუფთად შესრულება) ფორმის შესატყვისი ჩანს. ამდენად, წკანდ ძირის ფარდი შესაძლებელია წკონდ-ის გვერდით წკანტე-ც იყოს (ბოლოკიდური მჟღერის დაყრუება მოულოდნელი არ არის).

სალიტერატურო ჭარ/ჭერ/ჭრ(ჭრა) ფორმების შესატყვისად დასახელებულია მეგრული ჭკირუა და ლაზური ჭკორ / ჭკირ (თიბვა, ჭრა) ძირები (*ფენრიხი*, სარჯველაძე 2000, 682). იქვე აღნიშნულია, რომ „უფრო რთულად დგას ქართულ ჭრ ძირთან სვანური ღ ძირის (ლა-ღ-ე სათიბი) მიმართების საკითხი“ (იქვე). როგორც ჩანს, ლექსიკონის ავტორებისთვის უცნობი იყო სვანური აბჭკურე ფორმა (ასევე ხაჭკპურე, ხაჭკრულე), რომელიც ფორმითაც და სემანტიკითაც *იდენტურია ჭრა: ჭკირ* ძირებისა.

კეტ ძირთან (*კეთ-ებ-ა*, *კეთ-ილ-ი*) შესატყვისად მოხმობილია მეგრულ-ლაზური კათ (შეგროვება, შერევა). გამოტოვებულია სვანური *კათ* (კრებული), მეკეთ (მოკეთე) ფორმები (*ფენრიხი*, სარჯველაძე 2000, 267). ამასთან, პირველი მეგრულ გახმოვანებას მისდევს (*კათ*), მეორე-სალიტერატუროს (*კეთ*). მეგრულსა და სვანურში კ და ქ ხმოვნების მონაცვლეობა დასტურდება. იქვე (გვ. 268) მეგრულისათვის კუკ (ჩარტყმა) ძირთან შესაპირისპირებლად მოხმობილია კაკ (დანაყვა) ფორმა, მაგრამ გამოტოვებულია კუკ-ძირიანი ფუძეები უ-კუკ-უან-ს (გამუდმებით მუშაობს, ეწვალება). *ისოფუ-ოკუკუ* (ბევრს მუშაობს, წვალობს). სვანურშიც და მეგრულშიც კ და ქ მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე, რაც შესაძლებელია სემანტიკური სხვაობისათვის არის განპირობებული.

ზოგჯერ გამოტოვებულია მეგრულ-ლაზური მასალა. ყბ-ა ფუძესთან შეპირისპირებულია სვანური ყაბ/ყბ (წვერი, ყბა). არ ჩანს ამავე ძირის მეგრული ფორმა ყვაბრა (დონდლო) და ზმნური ყვაბუნს (დიდი ლუკმებით ჭამს). მსგავსი ვითარება გვაქვს სალიტერატურო ფლეთ ძირთანაც (გვ. 468), რომლის შესატყვისადაც დასახელებულია ლაზური ფლათ და სვანური ფეთ / ფთ. მეგრული ფეთ-უნ-ს, რომელიც გამოტოვებულია,

იმეორებს სვანური გახმოვანების ფორმას და, ამავე დროს, მნიშვნელობითაც იგივეა (მატყლის ჩეჩვა).

წარმოდგენილი ნიმუშები ნაწილია იმ მასალისა, რომელიც მუშავდება სავარაუდო გამოცემისთვის. *საეტიმოლოგიო* ძირ-ფუძეთა გამოვლენა ენის სისტემის ისტორიისთვისაც მნიშვნელოვანია ქვეყნის ისტორიასაც წაადგება. რაც შეეხება უზუსტობებს ეტიმოლოგიურ ნაშრომებში, ისინი უნდა გასწორდეს, რაც უკვე შესაძლებელია მოცემული მეგრულ-ლაზური და სვანური ლექსიკონებისა და სამეცნიერო ნაშრომების გათვალისწინებით.

ლიტერატურა:

გ. თოფურია; მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, 2000.

საღლიანი 2021: მედეა საღლიანი, ზანურიდან (მეგრულ-ლაზურიდან) შეთვისებული ლექსიკური ერთეულების ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ადაპტაციისათვის სვანურში, ქართველური მემკვიდრეობა XXV.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000: გ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი.

შეროზია 2014: რევაზ შეროზია, ზოგი რელიგიური ტერმინისათვის, წელიწდეული IV.

შეროზია 2017: რევაზ შეროზია, სვანურ და მეგრულ-ლაზურ მეტყველებებში ძირთა ურთიერთმიმართების საკითხისათვის, წელიწდეული IX.

შეროზია 2020: რევაზ შეროზია, სვანურ და მეგრულ-ლაზური მეტყველებების საერთო ძირ-ფუძეთა საკითხისათვის, ქართველური მემკვიდრეობა XXIV.